სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

91015555218624

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240126058

რეგისტრაციის თარიღი

02.02.2024 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7,II სართული.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის ორ თებერვალს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო იურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, **მომმართა სს „თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24003017, 11/01/2024 17:35:34, ს/ნ 204854595) დირექტორმა გიორგი თხელიძემ,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **გიორგი თხელიძემ (დაბ. 26.08.1978წელს თბილისში, მცხ. თბილისი, მუხის ქ., სახლი №7, პ/ნ №01005001579, ბარათის № 17IB40044, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 03.08.2017)** მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაოთხი წლის ორ თებერვალს სს „თიბისი ბანკის" (ს/ნ 204854595) **დირექტორმა გიორგი თხელიძემ (დაბ. 26.08.1978წელს, პ/ნ №01005001579) ვასილი მაისურაძეს (დაბ.03.02.1985, პ/ნ № 01011038948),** შემდეგში "რწმუნებულს" წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. **ვასილი მაისურაძე** უფლებამოსილია სს „ თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებენის შეტანიზ შესახებ; იპოთეკის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; გირავნობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; თავდებობის ხელშეკრულებები და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; ოვერდრაფტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; აკრედიტივის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; ხელშეკრულებებს მოთხოვნის დათმობის (ცესიის) შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; განცხადებებს / წერილებს ცესიის შედეგად უზრუნველყოფის საშუალებების, მათ შორის იპოთეკისა და გირავნობის უფლებების მიღების, განაწილების გადაცემის ან/და გაუქმების / შეწყვეტის შესახებ; შეთანხმებებს / ხელშეკრულებებს სინდიცირების შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების / დამატებების შეტანის შესახებ; შეთანხმებებს / ხელშეკრულებებს სხვა კომერციულ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების / დამატებების შეტანის შესახებ; სხვა სახის შეთანხმებებს / ხელშეკრულებებს / წერილებს, რაც დაკავშირებული იქნება სინდიცირებასთან ან/და მოთხოვნის დათმობასთან ან/და სხვა კომერციულ ბანკ(ებ)თან / ფინანსურ ინსტიტუტ(ებ)თან ერთად კლიენტ(ებ)ის დაფინანსებასთან და შეთანხმებებს მათში ცვლილებების / დამატებების შეტანის შესახებ. სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს

ელთა დადებაც აუცილებელი იქნება აღნიშნული დავალების შესასრულებლად, აგრეთვე სს „თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს კლიენტისათვის გასაგზავნ და კლიენტთან დაკავშირებით სამე პირებისათვის გასაგზავნ ნებისმიერი სახის წერილებს/შეტყობინებებს.

2. ამ მინდობილობით **ვასილი მაისურაძეს** ენიჭება უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ნებისმიერ ორთ(ებ)თან ნებისმიერ ხელშეკრულებას ან/და გარიგებას, რომელიც დაკავშირებული იქნება ნებისმიერი პირის სს „თიბისი ბანკის" წინაშე არსებული ან/და მომავალში წარმოშობილი ვალდებულების შესრულებასთან ან/და მისი შესრულების უზრუნველყოფასთან.

3. ამ მინდობილობით **ვასილი მაისურაძეს** ენიჭება უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ხდება კლიენტის ან/და მისი თანამსესხებლის ან/და თავდების ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისგან გათავისუფლება.

4. ამ მინდობილობით **ვასილი მაისურაძეს** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს „თიბისი ბანკის" ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობისი.

5.**ვასილ მაისურაძე** უფლებამოსილია წინამდებარე მინდობილობით გათვალისწინებულ გარიგებებს/ხელშეკრულებებს/დოკუმენტებს ხელი მოაწეროს მათ შორის, ელექტრონული ხელმოწერით, მათ შორის კვალიფიციური ან განვითარებული ელექტრონული ხელმოწერით, მათ შორის ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმის, Signify-ის მეშვეობით.

6.წინამდებარე მინდობილობით ვიწონებ **ვასილ მაისურაძის** მიერ **ორი ათას ოცდაოთხი წლის ორი თებერვლის** ჩათვლით ხელმოწერილ დოკუმენტაციას/ხელშეკრულებებს;

7. **მინდობილობა ძალაშია 2024(ორი ათას ოცდაოთხი) წლის 31 (ოცდათერთმეტი) დეკემბრის ჩათვლით.**

8. წინამდებარე მინდობილობით ვიწონებ და ვეთანხმები ვასილი მაისურაძის მიერ ორი ათას ოცდასამი წლის ოცდახუთ იანვრამდე განხორციელებულ ქმედებებს, ხელმოწერილ დოკუმენტაციას/გარიგებებს წინამდებარე მინდობილობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

9. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.

საზღაური: 30.00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, რეგისტრაციის საფასური: 5.00 ლარი (39-ე მუხლის თანახმად) და დღგ 5.40 ლარი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად), სულ 40.40 ლარი.

გიორგი თხელიძე

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა




GEORGIA

სს. თიბისი ბანკს
მისამართი_ ქ. თბილისი, მარჯანიშვილის #7
- -- ---------- ----------

შპს. ,,არქტური ლისი“ (ს/კ 426138271)
დირექტორი- ლაშა გოგოლაძე
მისამართი-ქ. თბილისი, ფერმწერთა ქ. 111

ქ. თბილისის არქიტექტურის სამასახურში შეტანილი გვაქვს ორი განაცხადი შპს. ,,არქტური ლისი“ (ს/კ 01.14.16.008.073, მდებარე ქ. თბილისი, ფერმწერთა ქ. 111) მიწის ნაკვეთზე, არსებული პროექტის(ების) კორექტირების შესახებ, კერძოდ:
განცხადება # AR 11013257 შენობა-#1
პროექტის კორექტირების საფუძველი:
შენობის საძირკვლის კონსტრუქციად გამოყენებული იქნა საძირკვლის ფილა, რამაც გააჩინა -3,30 ნიშნულზე ავტოსადგომის გაფართოვების შესაძლებლობა. შესაბამისად მოიმატა მიწის ქვეშა ავტოსადგომების რაოდენობამ და ფართობმა.
+1,50 ნიშნულზე დაზუსტდა სადარბაზოების და კიბის უჯრედების ფართობი.
+1,50-ნიშნულზე ტექნიკური ხარვეზის გამო დაზუსტდა რამდენიმე აივნის კონფიგურაცია და ფართობი, შესაბამისად უმნიშვნელოდ დაკორექტირდა კ1დაკ2 კოეფიციენტების საანგარიშო ფართობი.
0,00 ნიშნულზე შენობის პერიმეტრზე განთავსდა მიწის ქვეშა ავტოსადგომების სავენტილაციო შახტები.
განცხადება # AR 11013388 შენობა#-2
კორექტირების საფუძველი:
ვაინაიდან შენობის საძირკვლის ფილასა და პირველი საცხოვრებელი სართულის ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგენს 1.5 მეტრს, მონოლითური რკინაბეტონის ყალიბის მოწყობის სამუშაოების გამარტივების კუთხით +1,5 ნიშნულზე მონოლითური კოჭების ნაცვლად, დაპროექტდა მონოლითური კედლები და ამავე სივრცეში საინჟინრო ქსელების შეკრების ადგილების გარდა სხვა სივრცეები შეივსება გრუნტით.(იხილეთ არქიტექტურული და კონსტრუქციული გეგმა 0,00 ნიშნულზე)
+1,5 ნიშნულზე მცირედით დაკორექტირდა კიბის უჯრედისა და სადარბაზოების ფართობი.
ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის გვესაჭიროება თიბისი ბანკის (როგორც იპოთეკარის თანხმობა) ზემოთ მითითებულ კორექტირებაზე, არქიტექტურის სამსახურისაგან თანხმობის მისაღებად.

პატივისცემით
დირექტორი: ლაშა გოგოლაძე



1016/109-42

05.03.2024

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ მხარეებს შორის 2023 წლის 30 მაისს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება N1231233038098, რომელის საფუძველზეც სს „თიბისი ბანკი“-ს სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა შემდეგი ფართი:

საკადასტრო კოდი: 01.14.16.008.073

სს “თიბისი ბანკი”, როგორც იპოთეკარი, თანახმაა ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე მოხდეს ცვლილებები წარდგენილი განცხადებების შესაბამისად (#AR11013257; #AR11013388) მხოლოდ იმ პირობით, რომ სს „თიბისი ბანკი“-ს სასარგებლოდ რეგისტრირებული ყველა და ნებისმიერი იპოთეკის უფლება/უფლებები დარჩება უცვლელი, გავრცელდება დაყოფის/გამიჯვნის შედეგად მიღებულ ფართებზე სრულად და არ განხორციელდება უზრუნველყოფის საგნის იმგვარი გარდაქმნა და ცვლილება, რაც შეამცირებს უზრუნველყოფის საგნის ღირებულებას, ან სხვაგვარად დაარღვევს/შელახავს ბანკის, როგორც იპოთეკარის კანონიერ ინტერესებს, ან ცვლილებების შედეგად იპოთეკის საგანზე არ გავრცელდება რაიმე სახის შეზღუდვა, იპოთეკის საგანის დამატებით ფართობზე და ნაყოფზე, გარდაქმნების შედეგად მიღებულ ნივთზეც სრულად გავრცელდება სს „თიბისი ბანკი“-ს იპოთეკა.

სს თიბისი ბანკის წარმომადგენელი

ვასილ მაისურაძე (პირადი ნომერი: 01011038948)

მარჯანიშვილის ქ #7
0102 თბილისი, საქართველო

7 Marjanishvili Str.
0102 Tbilisi, Georgia

ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74

www.tbcbank.ge